უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს სამღვდელთმთავრო ქიროტონიის 60 წლის იუბილე მიულოცა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 26.08.2023. *მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს სამღვდელთმთავრო კურთხევის 60 წლისთავი* ***მიულოცა.***

მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, უფლისმიერ საყვარელო ძმაო და თანამსახურო!

გულითადად მოგესალმებით და მთელი სულითა და გულით გილოცავთ ამ მნიშვნელოვან თარიღს – სამღვდელთმთავრო ქიროტონიის 60 წლის იუბილეს.

შორეულ 1963 წელს, ივერიის საპატრიარქო ტახტზე თქვენი დიდი წინამორბედის, უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღირსი იერარქების ხელთდასხმით, რომელთა შორის იყო თქვენი სულიერი მოძღვარი წმინდა მღვდელთმთავარი ზინობი მაჟუგა, თეთრიწყაროს ეპისკოპოსი, თქვენ მოწოდებულ იქმენით საეპისკოპოსო მსახურებაზე.

მიჰყევით რა მოციქულის მცნებას, თქვენ *მუდმივად აღვივებდით ღვთის ნიჭს,* რომელიც *ხელთდასხმისას მოგეცათ* (2 ტიმ. 1:6), *ვიდოდით ძალითი ძალად* (ფს. 83:8), ცდილობდით მიგეღწიათ *სრულყოფილი კაცის ზომას* (ეფეს. 4:13). მოიხილა რა თქვენი მრავალი შრომა და გულმოდგინება, ყოველთა მწყემსთა მთავარმა ქრისტემ აგიყვანათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა მაღალ საწინამძღვრო ტახტზე. იმ ათწლეულების განმავლობაში, რაც თქვენ უფლის საყდრის წინაშე დგახართ, ივერიაშიც და მთელს მსოფლიოშიც მრავალი ცვლილება მოხდა. თუმცა დღემდე უცვალებელი რჩება თქვენი საპატრიარქო მსახურების სახე, გამორჩეული უფლისადმი მხურვალე რწმენითა და სიყვარულით, რომელსაც თქვენ ქადაგებთ, – *ასწავლით რა ყოველ ადამიანს და მთელი სიბრძნით მოძღვრავთ, რათა სრულქმნილი წარადგინოთ იგი ქრისტე იესოში* (კოლ. 1.28). .

თქვენთვის და მთელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ამ სულიერად მნიშვნელოვან დღეს, გულუხვი ღმრთის მიმართ აღვავლენ ლოცვებს მძიმე საპატრიარქო ღვაწლის აღსრულებაში თქვენი უწმინდესობისა და უნეტარესობის ძალების განმტკიცებისთვის.

უფალში ძმური სიყვარულით,

+კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90670/